



SIGMA

**Support for Improvement in Governance
and Management**

A joint initiative of the OECD and the European
Union, principally financed by the EU

ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილება (Finanzprokurator) –

ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო ადვოკატი და იურისკონსულტი

კონფერენცია თემაზე
„ფინანსთა სამინისტროს იურიდიული სამსახურის ორგანიზაცია:
ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება“

თბილისი, საქართველო
25-26 სექტემბერი 2009

საკონფერენციო მოხსენება მომზადებულია
მიქაელა ფალერის მიერ,
ფინანსთა სამინისტროს
იურიდიული განყოფილების (Finanzprokurator)საპრეზიდენტო იურისტი,
ავსტრიის რესპუბლიკა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მასში
გამოთქმული აზრები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ
მოსაზრებასა და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის ან მისი წევრი ქვეყნების ან სახელმწიფოს მართვის გაუმჯობესების
ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ქვეყნების პოზიციას.

შინაარსი

| | | |
|------|--|----|
| I. | შესავალი | 3 |
| II. | სახელმწიფო/ფედერალური იურიდიული სამსახური – მხოლოდ ავსტრიაში? | 3 |
| III. | Finanzprokurator | 5 |
| | A. Finanzprokurator- ის მოწეობა და საკანონმდებლო ბაზა | 5 |
| | B. Finanzprokurator -ის როლი ავსტრიის სახელმწიფოში | 6 |
| | C. Finanzprokurator -ის კლიენტები | 7 |
| | D. მოვალეობის პირნათლად შესრულება და იურისტის ხელფასი | 9 |
| | E. ამოცანები და საქმიანობა | 10 |
| | F. Finanzprokurator -ის საორგანიზაციო მოწეობა, გაწეული იურიდიული სამსახურის სფეროები | 13 |
| | G. Finanzprokurator -ში მუშაობისათვის აუცილებელი მოთხოვნები და პროფესიული მომზადება | 15 |
| IV. | ფედერალური იურიდიული სამსახურის ზოგადი დახასიათება | 16 |
| | A. უპირატესობები | 16 |
| | B. ნაკლოვანებები | 17 |
| | C. საკანონმდებლო ბაზა | 17 |

I. შესავალი

რადგან აწყობილი იურიდიული სამსახური უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების კანონიერებას და, ამავე დროს თავიდან გვაცილებს ან ამცირებს დროისა და ხარჯის მომცველი ღირებულების წარმოშობის რისკს, მის სწორად ორგანიზებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის, განსაკუთრებით კი მთავრობებისათვის, სადაც ყოველდღიურად უამრავი გადაწყვეტილების მიღება უწევთ.

სახელმწიფოს შიგნით იურიდიული სამსახურის ორგანიზაციის განსხვავებული გზები არსებობს. მაგალითად, თითოეულ სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის შექმნა ან ერთი სამთავრობო იურიდიული დეპარტამენტის ჩამოყალიბება და სასამართლო პროცესების ცალკე გამოყოფა. ასეთ სასამართლო პროცესებზე მთავრობის ინტერესებს, სავარაუდოდ, კერძო იურისტები დაიცავენ.

ძირფესვიანი იურიდიული მომსახურების, მათ შორის სასამართლოში ინტერესების წარმოდგენის უზრუნველყოფის კიდევ ერთი გზა არის Finanzprokurator -ის ტიპის ფედერალური იურიდიული სამსახურის შექმნა, რომელიც კონსულტაციას გაუწევს ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო ორგანოს. ავსტრიაში თითქმის ყველა სამინისტროს აქვს პატარა იურიდიული განყოფილება, თუმცა მათ სასამართლოში სამინისტროს სახელით გამოსვლის უფლება არა აქვთ.

ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო ადვოკატისა და იურისკონსულტის რანგში Finanzprokurator-ი (ფინანსთა სამინისტროს იურიდიული განყოფილება) იურიდიულ მომსახურებას უწევს მთავრობას, ფედერალურ მინისტრებსა და სამინისტროებს, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოებს და წარმოადგენს მათ ინტერესებს ყველა სასამართლო პროცესზე.

II. სახელმწიფო/ფედერალური იურიდიული სამსახური – მხოლოდ ავსტრიაში?

სახელმწიფო ან ფედერალური იურიდიული სამსახური, სადაც სახელმწიფო ადვოკატები მუშაობენ მარტო ავსტრიაში არ არსებობს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ანალოგიური ორგანიზაციები.¹ როგორც წესი ასეთი ორგანიზაციის ხელმძღვანელს “გენერალური პროკურორი” ეწოდება, რაც დაახლოებით იგივეა, რაც ავსტრიაში Finanzprokurator-ის პრეზიდენტი. მაგალითისათვის, სახელმწიფო ადვოკატების ინსტიტუტები არსებობს:

¹ აქ მოყვანილი ყველა ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია

➤ **ჰონ-კონგში²**

ჰონ-კონგში, სახელმწიფო მდივანი სამართლის საკითხებში არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის, მთავრობისა და ცალკეული სამთავრობო სტრუქტურების მთავარი იურისკონსულტი და ამავე დროს აღმასრულებელი ხელისუფლების წევრი. ამ თანამდებობაზე როგორც წესი იურისტი ინიშნება.

სახელმწიფო მდივანი სამართლის საკითხებში წარმოადგენს მოპასუხე მხარეს მთავრობის წინააღმდეგ აღძრული ყველა სამოქალაქო სარჩელის განხილვისას და უფლება აქვს ჩაერიოს ნებისმიერი საქმის განხილვაში, რომლის მიმართ საზოგადოების დიდი ინტერესი არსებობს. სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ბრალდების წაყენების გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მისი პრეროგატივაა.

➤ **ამერიკის შეერთებულ შტატებში³**

ამერიკის შეერთებულ შტატებში გენერალური პროკურორი არის აშშ იუსტიციის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამერიკის მთავრობის მთავარი იურისტი. ის არის პრეზიდენტის კაბინეტის წევრი.

გენერალური პროკურორი წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ზოგადად სამართლებრივ საკითხების წამოჭრისას და, თუ საჭიროა, უწევს იურიდიულ კონსულტაციას პრეზიდენტსა და სამთავრობო აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელებს.

➤ **ავსტრალიაში⁴**

ავსტრალიაში სამთავრობო კაბინეტის იურისკონსულტი აგრეთვე ითვლება გენერალურ პროკურორად. ამავე დროს ის არის მინისტრი, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიულ საკითხებზე, ეროვნულ და საზოგადოების უსაფრთხოებაზე და არის კაბინეტის წევრი. ის გასცემს ფედერალური დანაშაულისათვის ბრალდების წაყენების სანქციას. გენერალური პროკურორი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არის იურისტი.

სახელმწიფო იურისტის ინსტიტუტი ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებობს კანადაში, მალაიზიაში, ახალ ზელანდიაში და ა.შ.⁵

ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების იურისდიქციებში გენერალურ პროკურორს, როგორც მთავრობის მთავარ იურისკონსულტს, შეიძლება დაეკისროს სამართალდაცვისა და სახელმწიფო ბრალდების პასუხისმგებლობა.

რაღა თქმა უნდა, სახელმწიფო ან ფედერალური იურისტის/ადვოკატის თანამდებობა კარგად არის ცნობილი **ევროგაერთიანების ქვეყნებში** – ირლანდიაში (გენერალური პროკურორი), იტალიაში (Avvocatura dello Stato), პორტუგალიაში (Procuradoria-Geral da Republica), სლოვენიაში (Državno pravobranilstvo), ესპანეთში (Abogacia General del Estado) და ა.შ.

² ვებ-მისამართი: www.doj.gov.hk/eng

³ ვებ-მისამართი: www.usdoj.gov/ag; http://en.wikipedia.org/wiki/United_States_Attorney_General

⁴ ვებ-მისამართი: www.ag.gov.au

⁵ კანადა: www.justice.gc.ca/en; მალაიზია: www.agc.gov.my/agc; ახალი ზელანდია: www.beehive.govt.nz.

ევროკომისიასაც კი გააჩნია “იურიდიულ სამსახურად” წოდებული, საკუთარი შიდა საბჭო, რომელიც კომისიის ერთ-ერთ დეპარტამენტს წარმოადგენს. იურიდიული სამსახურის მოვალეობაა გაუწიოს იურიდიული კონსულტაცია კომისიასა და მის სხვადასხვა სამსახურს, წარმოადგინოს კომისიის ინტერესები ყველა სასამართლო პროცესზე, კერძოდ ევროპის სასამართლოში.

III. Finanzprokurator-ი

A. Finanzprokurator-ის მოწეობა და იურიდიული ბაზა

Finanzprokurator-ის ისტორია მე-13 საუკუნეში იწყება. უწინ მას “Fiskalat”⁶ ან “Kammerprokurator” ეწოდებოდა და ერთდროულად ორ ფუნქციას ითავსებდა – ბრალდების მხარის ფუნქციას და სამოქალაქო საქმეებში დამცველის ფუნქციას.

“Fiskalat”-ის ან “Kammerprokurator”-ის ხელმძღვანელის მთავარ მოვალეობას შეადგენდა იმპერატორისა და მებატონეებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა და მათი ინტერესების დაცვა სასამართლოში როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეების გარჩევისას.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება ინდივიდუალური სახელმწიფო პირის ოფიციალური ქმედებით მიყენებული ზარალისათვის ძველთაძველი სამართლებრივი კონცეპციაა ავსტრიაში. დაზარალებულ მხარეს არა აქვს უფლება აღძრას სარჩელი პირადად დამნაშავე ჩინოვნიკის წინააღმდეგ. ასეთი კოლექტიური პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ფორმა გვხვდება ჯერ კიდევ 1539 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში (ქვემო ავსტრიის Raitkammerordnung) და ალბათ მას უფრო ძველი ისტორიაც აქვს. დღეს Finanzprokurator-ის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა საჯარო პასუხისმგებლობა.

1848 წლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ბრალდება ცალკე ფუნქციად ჩამოყალიბდა, Finanzprokurator –ის ფუნქციები შემოიფარგლა სამოქალაქო ადვოკატის როლით და ამავე დროს დაეკისრა პასუხისმგებლობა სამოქალაქო და საჯარო სამართლის საკითხებზე ყველაზე ფართო გაგებით. ხოლო ბრალმდებელი არის სამართლის მხარე, რომელიც ვალდებულია აღძრას საქმე სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის წინააღმდეგ.

Finanzprokurator-ის, როგორც სახელმწიფო ადვოკატის პირველი დროებითი წესდება, რომელშიც ჩამოყალიბებულია მისი საორგანიზაციო სტრუქტურა და უფლება-მოვალეობები ძალაში შევიდა 1898 წელს და მოქმედებდა 1938 წლამდე, როდესაც Finanzprokurator-ის საქმიანობა დროებით შეწყდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო.

⁶ “Fiskus” ნიშნავს ხაზინას და იხმარებოდა სახელმწიფოს შესახებ საუბრისას

1945 წელს პირველად შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა Finanzprokurator-ს მუშაობისათვის, რომელიც 2007-08 წლებში Finanzprokurator-ში ჩატარებული ძირფესვიანი სტრუქტურული რეფორმის შედეგად, მხოლოდ გასულ წელს შეიცვალა ახალი წესდებით. გადაწყდა, რომ 1945 წლის წესდება საჭიროებდა გადახედვას Finanzprokurator-ის 21-ე საუკუნისათვის შესაფერისობის უზრუნველსაყოფად. იყო საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ განმარტებას.

სტრუქტურული რეფორმა, ისევე როგორც ახალი საკანონმდებლო ბაზის პროექტის შემუშავება მოხდა Finanzprokurator-ის პრეზიდიუმში, მოწვეული კონსულტანტის ნაწილობრივი დახმარებით. ამჟამად საკანონმდებლო ბაზას, რომლის საფუძველზეც მოქმედებს Finanzprokurator წარმოადგენს გასული წლის 8 აგვისტოს გამოცემული, “Finanzprokurator-Law” (კანონი ფინანსტა სამინისტროს იურიდიული განყოფილების სესახებ), რომელიც ამა წლის 1 იანვარს შევიდა ძალაში.⁷ ახალ წესდებაში სისტემატიზირებულია უწესრიგოდ მიმოფანტული დებულებები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც შეეხება ე.წ. “სტატუტარულ” კლიენტებს. იგი შეესაბამება დროის მოთხოვნებს.

წარსულში Finanzprokurator-ი შედგებოდა 13 განყოფილებისა და 5 ქვე-განყოფილებისაგან; თითოეული განყოფილება ერთი რომელიმე სამინისტროს საქმეებს განაგებდა. 2009 წლის 1 იანვრიდან განყოფილებები დაკომპლექტებულია სამართლის სფეროების მიხედვით.

ამასთან ერთად ხელახლა განისაზღვრა Finanzprokurator-ის კლიენტებისა და ასევე მოვალეობების არეალი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც დებულებაში ჩამოყალიბებულია საორგანიზაციო მოწყობის პრინციპები და გათვალისწინებულია იურისტთა პროფესიული მომზადება.

B. Finanzprokurator-ის როლი ავსტრიის სახელმწიფოში

Finanzprokurator-ი, ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო იურიდიული სამსახური და იურისკონსულტი, წარმოადგენს ფედერალურ იურიდიულ სამსახურს, რომლის ოთხმოცდაცამეტი თანამშრომლიდან ორმოცდა ორი იურისტია. სამსახურს სათავეში უდგას მისი პრეზიდენტი, ბატონი ფეშორნი. ავსტრალიის ან კანადის გენერალური პროკურორისაგან განსხვავებით, Finanzprokurator-ის პრეზიდენტი არ არის მთავრობის წევრი.

Finanzprokurator-ის ორმაგი ფუნქცია აკისრია:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მის წესდებაში ჩამოთვლილი სხვა იურიდიული პირებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა, და
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და მის წესდებაში ჩამოთვლილი სხვა იურიდიული პირების წარმოდგენა ყველა სასამართლო პროცესზე.

⁷BGB11 Nr. 110/2008.

მცირე დეტალებში განსხვავებების მიუხედავად Finanzprokurator პრაქტიკულად აკეთებს იმას, რასაც უნდა აკეთებდეს კერძო იურიდიული ფირმა.

გარდა ამისა, კონკრეტულ გარემოებებში, Finanzprokurator გამოდის საზოგადოებრივი ინტერესების დამცველის როლში.

ორგანიზაციულად, Finanzprokurator-ი წარმოადგენს ფედერალურ სააგენტოს, ხოლო ისტორიული მიზეზების გამო ის არის ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული სახელმწიფო დაწესებულება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ფინანსთა მინისტრი არ ანხორციელებს მისი პროფესიული საქმიანობის კონტროლს, თუმცა მას ეხება საკადრო საკითხები მიუხედავად იმისა, რომ Finanzprokurator-ი თავად ანხორციელებს თანამშრომლების დისციპლინარულ და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას. მაგალითისათვის, ფინანსთა მინისტრი ახდენს ახალი თანამშრომლების რიცხვის განსაზღვრას, ხოლო მათი შერჩევის და დაქირავების პროცესს ანხორციელებს Finanzprokurator.

Finanzprokurator-ის პრეზიდენტს, რომელიც არის სახელმწიფო მოხელე, ნიშნავს ფინანსთა მინისტრი, სპეციალური კომისიის წარდგინებით, ხუთი წლის ვადით. ეს ვადა ავტომატურად გრძელდება თანაბარი ხანგრძლივობის დამატებითი ვადებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პრეზიდენტი ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს.

ამის მიუხედავად, Finanzprokurator წლების განმავლობაში ინარჩუნებს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს და არის ორგანო, რომელიც არცერთი პარტიის ინტერესებს არ იცავს. Finanzprokurator-ის ყოველდღიური საქმიანობა არ არის დამოკიდებული ფინანსთა სამინისტროდან შემოსულ განკარგულებებზე; როგორც წესი იურისტები არიან დამოკიდებული შესაბამისი კლიენტების მითითებებზე.

იმის გამო, რომ Finanzprokurator წარმოადგენს ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოს, მის პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. რამდენადაც Finanzprokurator თავისუფალია პოლიტიკური გავლენისა და ჩარევისაგან, სასამართლოს გადაწყვეტილებები მიიღწევა დამოუკიდებლად და პოლიტიკური კონიუქტურისათვის ანგარიშის გაუწევლად.

Finanzprokurator-ი, მისი ტექნიკური კვალიფიკაციის მაღალი დონის, სახელმწიფო და სამთავრობო საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებში ჩახედულობისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის გამო, მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს როგორც საზოგადოებაში, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში და შეიძლება ჩაითვალოს, რომ მათ მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენს.

C. Finanzprokurator-ის კლიენტები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, Finanzprokurator მოქმედებს წესდების საფუძველზე (“Finanzprokurator-Law”), რომელიც ზუსტად განსაზღვრავს იმ კლიენტების წრეს, რომლებსაც Finanzprokurator უწევს იურიდიულ კონსულტაციას ან წარმოადგენს სასამართლოში. Finanzprokurator-ს არა აქვს უფლება

სასამართლოში წარმოადგინოს კერძო პირი ან გაუწიოს იურიდიული კონსულტაცია ინდივიდუალურ პიროვნებებს.
დეტალურად კანონში გაწერილია, რომ Finanzprokurator უწევს კონსულტაციას მხოლოდ:

➤ **ავსტრიის რესპუბლიკას**

Finanzprokurator-ის მთავარი კლიენტი არის ავსტრიის რესპუბლიკა, კერძოდ ფედერაცია, ფედერალური მთავრობა, სამინისტროები და სამთავრობო მინისტრები, ფედერალური კანცლერი და სხვა ფედერალური ორგანოები, როგორცაა საგადასახადო ინსპექცია, პოლიციის დეპარტამენტები და ა.შ.

➤ **სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებული იურიდიული პირები:**

- ბიზნეს-სტრუქტურები, რომელშიც ავსტრიის რესპუბლიკას მნიშვნელოვანი წილი აქვს;
- კომპანიები, რომლებსაც არსებითად ავსტრიის სახელმწიფო აფინანსებს;
- იურიდიული პირები, რომლებიც იმართება სახელმწიფო ორგანოების მიერ, ან ინდივიდუალური პიროვნებები, რომლებიც დანიშნულია სახელმწიფო ორგანოების მიერ;
- სახელმწიფო ორგანოები და უწყებები;
- სახელმწიფო ფონდები.

სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებული იურიდიული პირების მაგალითებს წარმოადგენენ: ავსტრიის სახელმწიფო რკინიგზა, უნივერსიტეტები ან ავსტრიის ფედერალური ტყეები.

➤ **სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები**

➤ **საზოგადოებრივი ინტერესი:**

იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ავსტრიის რესპუბლიკის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება, Finanzprokurator დაუყოვნებლივ ერთვება საქმეში მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ხლისუფლების სათანადო ორგანოს სასწრაფოდ დადგენა.

ავსტრიის რესპუბლიკა მკაცრად გამოირჩევა ყველა სხვა კლიენტისაგან იმის გამო, რომ მას, სხვა კლიენტებისაგან განსხვავებით, არა აქვს უფლება მიმართოს კერძო ადვოკატს მისი ინტერესების ჩვეულებრივ ნაციონალურ სასამართლოში დასაცავად (დაწვებული პირველი ინსტანციის სასამართლოთი და დამთავრებული უზენაესი სასამართლოთი) Finanzprokurator-ის თანხმობის გარეშე.

Finanzprokurator-Law-ს დებულებების შესაბამისად ავსტრიის რესპუბლიკა ვალდებულია ნაციონალ სასამართლოებში საკუთარი ინტერესების წარმომადგენლად ჰყავდეს Finanzprokurator; სხვა შემთხვევაში ყველა იურიდიული აქტი ძალადაკარგულად ჩიათვლება. სასამართლოს უწყების ან სასამართლოს სხვა დოკუმენტების გადაცემას მხოლოდ მაშინ აქვს იურიდიული ძალა, თუ

ისინი Finanzprokurator-ში გაივლის. მოპასუხის შემხვედრი წერილობითი სარჩელისათვის განსაზღვრული ვადა იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც Finanzprokurator აცნობებენ სარჩელის წარმოშობის შესახებ.

ავსტრიის რესპუბლიკა არის Finanzprokurator-ის ე.წ. “სავალდებულო კლიენტი”, მაშინ, როდესაც დანარჩენი კლიენტები, როგორებიცაა მაგალითად სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და სხვა, სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებული იურიდიული პირები, ე.წ. “ფაკულტატურ კლიენტებს” წარმოადგენენ.

ფაკულტატურ კლიენტებს საშუალება აქვთ კონსულტაცია გაიარონ Finanzprokurator-ში, მაგრამ ისინი არ არიან ვალდებული ასე მოიქცევენ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ავსტრიის რესპუბლიკას სჭირდება სასამართლოსგარეშე კონსულტაცია ან საკუთარი ინტერესების კანონიერი დაცვა არა ჩვეულებრივი ნაციონალური სასამართლოს წინაშე, არამედ, მაგ. უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე, მას აგრეთვე შეუძლია მიმართოს კერძო ადვოკატის მომსახურებას. ამ სფეროში Finanzprokurator-ს და კერძო ადვოკატებს თანაბარი უფლებები აქვთ.

სინამდვილეში, Finanzprokurator-ის მუშაობის უფრო მაღალი ხარისხის გამო, ავსტრიის რესპუბლიკა (სახელმწიფო ორგანოები) სულ უფრო ხშირად მიმართავენ მის იურიდიულ დახმარებას. გარდა ამისა, ავსტრიის რესპუბლიკა არ იხდის დამატებით საფასურს Finanzprokurator-ის იურიდიული მომსახურებისათვის.

თუ ავსტრიის რესპუბლიკასა და Finanzprokurator-ის ფაკულტატურ კლიენტს შორის წარმოშობილ სასამართლო დავას მოჰყვება ინტერესთა კონფლიქტი, უპირატესობა ყოველთვის ენიჭება ავსტრიის რესპუბლიკას.

D. მოვალეობის შესრულება და ადვოკატის გასამრჯელო

კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევის ან მისი ინტერესების სასამართლოში წარმოდგენის წინ Finanzprokurator საჭიროებს დაწვრილებით ორდერს⁸. ასეთი ორდერის წარდგენის შემდეგ კლიენტი აცნობს Finanzprokurator-ს საქმის ვითარებასა და მასთან დაკავშირებულ ძირითად ფაქტებს.

ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ავსტრიის რესპუბლიკას ემუქრება საფრთხე ან არსებობს კონკრეტული მიზეზი გადაუდებელი ქმედებისათვის. ასეთ შემთხვევებში Finanzprokurator ვალდებულია დაუყოვნებლივ იმოქმედოს სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ავსტრიის რესპუბლიკის ორდერი განიხილება, როგორც შიდა განკარგულება და მასზედ დამორჩილება სავალდებულოა, ხოლო დანარჩენი კლიენტების ორდერები

⁸ ავსტრიული კანონმდებლობით ითვლება, რომ ადვოკატს ყოველთვის გააჩნია აუცილებელი მინდობილობა; ამიტომ საკმარისია, თუ ადვოკატი სასამართლოში მას ასწავნებს.

განიხილება, როგორც კერძო ორდერები, რომლებიც შეიძლება დაუბრუნდეს კლიენტს ან უარი ეთქვას მიღებაზე.

Finanzprokurator-ის მთელი საქმიანობა გასაიდუმლოებულია გამონაკლისის გარეშე. Finanzprokurator მის ხელში არსებულ ყველა საქმეს ეკიდება როგორც მკაცრად კონფიდენციალურ საქმეს.

როგორც სახელმწიფო სააგენტო, Finanzprokurator იცავს ეფექტურობის, სასარგებლოების და ეკონომიურობის პრინციპებს (სამივე ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია ავსტრიის კონსტიტუციაში) და სამართლის ნორმებს. Finanzprokurator ვალდებულია ყოველმხრივ დაიცვას სახელმწიფო ინტერესები.

სწორედ ამ მიზეზების გამო Finanzprokurator სასამართლოში არა მარტო იმისათვის მიდის, რომ დააფიქსიროს თავად მისთვის ფაქტი.

რაც შეეხება ადვოკატის გასამრჯელოს, დიდი განსხვავებაა ავსტრიის რესპუბლიკასა და Finanzprokurator-ის დანარჩენ კლიენტებს შორის.

მაშინ, როდესაც ავსტრიის რესპუბლიკა არასდროს არ იხდის მომსახურების გასამრჯელოს, გარდა პროცესთან დაკავშირებული ფულადი ხარჯებისა, როგორცაა, მაგალითად, სასამართლოს მოსაკრებელი, Finanzprokurator-ის ყველა დანარჩენი კლიენტი, მმართველობის სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების ჩათვლით, ევალდებათ ანაზღაურონ მომსახურების ხარჯები საბაზრო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით.

საფასურის დათვლის ამოსავალ წერტილად Finanzprokurator იყენებს (კერძო) ადვოკატების გასამრჯელოს მარეგულირებელ შესაბამის დებულებებს, როგორცაა ავსტრიის კანონმდებლობა (კერძო) ადვოკატების გასამრჯელოს შესახებ (RATG) და (კერძო) ადვოკატთა გასამრჯელოს გათვლის ზოგადი კრიტერიუმები (AHK).

ზემოსხენებული დიფერენციაცია სრულიად სამართლიანია, რადგან ავსტრიის რესპუბლიკა გაიღებს Finanzprokurator-ის, როგორც სახელმწიფო ორგანოს, თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა მატერიალურ ხარჯებს. სამაგიეროდ, იურიდიული მომსახურება, იქნება ეს კონსულტაცია თუ სასამართლოში წარმოდგენა, მისთვის უფასოა.

E. ამოცანები და საქმიანობა

Finanzprokurator-ს, როგორც ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო ადვოკატსა და იურისკონსულტს, ევალება განახორციელოს იურიდიული კონსულტაცია და სასამართლოში ინტერესების დაცვა. სინამდვილეში Finanzprokurator-ის კომპეტენციაში უამრავი სხვა საკითხიც შედის.

➤ იურიდიული კონსულტაცია

გარდა სასამართლოში წარმომადგენლობისა, Finanzprokurator-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა იურიდიული კონსულტაციების გაწევა ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- კონტრაქტების შედგენა
- მოლაპარაკებების წარმოება
- კონტრაქტზე ხელის მოწერა კლიენტის სახელით
- იურიდიული დოკუმენტების შესაბამისი ფორმით შედგენა
- იურიდიული დასკვნის გაცემა; წერილობითი ან ზეპირი განცხადებების გაკეთება
- კონფერენციების მოწეობა
- შეხვედრების ჩატარება

მიუხედავად იმისა, რომ Finanzprokurator-ის იურიდიულ დასკვნას სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია, მას დიდ ანგარიშს უწევენ მაღალკვალიფიციურობის გამო. იმისათვის, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილება შემდგომში კანონსაწინააღმდეგო არ აღმოჩნდეს სახელმწიფო მართვის ორგანოები, მის მიღებამდე კონსულტაციას გაივლიან Finanzprokurator-ში და იღებენ მის თანხმობას.

ყოველწლიურად Finanzprokurator დაახლოებით 8000 იურიდიულ კონსულტაციას გასცემს.

➤ **სასამართლოში წარმომადგენლობა**

Finanzprokurator წარმოადგენს საკუთარი კლიენტების ინტერესებს ყველა ავსტრიულ თუ საერთაშორისო სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ საარბიტრაჟო უწყებაში სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას და ნაწილობრივ, სისხლის სამართლის საქმეების განხილვისასაც (მაგალითად სარჩელის შეტანა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის დევნის პროცესში მიყენებული ზიანისათვის).

როდესაც საქმე ეხება ავსტრიის რესპუბლიკას, მხოლოდ Finanzprokurator-ს აქვს უფლება წარმოადგინოს მისი ინტერესები ჩვეულებრივ სასამართლოებში, როგორცაა პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო სასამართლო და უზენაესი სასამართლო. დანარჩენ კლიენტებს შეუძლიათ გააკეთონ საკუთარი არჩევანი. არ არის აუცილებელი, რომ ისინი Finanzprokurator-მა წარმოადგინოს. მათ შეუძლიათ კერძო ადვოკატის დაქირავებაც.

Finanzprokurator-ს შეუძლია:

- გამოვიდეს მოსარჩელის როლში ისეთ საქმეებში, როგორცაა კანონის დარღვევა ან კონტრაქტის პირობების დარღვევა ერთ-ერთი მხარის მიერ, ან
- გამოვიდეს მოპასუხის როლში თუ საქმე აღძრულია ავსტრიის სახელმწიფოს ან სხვა კლიენტის წინააღმდეგ ან
- ნებაყოფლობით ჩაერთოს სარჩელის განხილვის პროცესში საკუთარი კლიენტის სახელით.

ასეთ შემთხვევებში Finanzprokurator-მა უნდა მოამზადოს სხვადასხვა გამოსვლების ტექსტები და დაესწროს ყველა მოსმენას. ყოველწლიურად დაახლოებით 1000 ახალი საქმე იხსნება, რომლებშიც Finanzprokurator გამოდის დამცველის როლში.

➤ **შუამავლობა**

Finanzprokurator-ის კომპეტენციაშია აგრეთვე შუამავლობა სამართლებრივი დავის მოგვარებაში სასამართლოს ფარგლებს გარეთ.

➤ **საარბიტრაჟო დასკვნის მომზადება**

Finanzprokurator-ის კიდევ ერთი კომპეტენციაა საარბიტრაჟო დასკვნის მომზადება.

➤ **სამართლებრივი რჩევის გაცემა**

Finanzprokurator სულ უფრო მეტად ერთვება სახელმწიფო კანონმდებლობის შემუშავებისა და უკვე მომზადებულ კანონპროექტებზე კომენტარების მომზადების საქმეში.

➤ **სემინარები და საინფორმაციო ბიულეტენები**

Finanzprokurator-ს შეუძლია მიაწოდოს საკუთარ კლიენტებს ბიულეტენები (მაგალითად სასამართლო პრაქტიკის ან სხვა მიმდინარე საკითხებზე) და ჩაატაროს სემინარები. დიდი რაოდენობით სემინარები ტარდება საგადასახადოს თანამშრომლებისათვის საგადასახადო კანონების გატარებისა და საჯარო პასუხისმგებლობის საკითხებზე

➤ **სამართლის მხარედ საქმეში ჩარევა**

ზოგიერთი სამართლებრივი ნორმებით, Finanzprokuratorს უფლება აქვს ჩაერიოს განსაკუთრებული საქმეების განხილვაში. მაგალითისათვის, ავსტრიის კანონი გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ ითვალისწინებს Finanzprokurator-ის მონაწილეობას გაკოტრებულად გამოცხადების ყველა დიდ სასამართლო პროცესში სახელმწიფო ინტერესების წარმოსადგენად.

➤ **მთავარი საკონტაქტო პუნქტი ინდივიდუალური პირებისათვის**

ბოლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი უფლება-მოვალეობაა საკონტაქტო პუნქტის როლის შესრულება იმ კერძო პირებისათვის, რომლებიც აპირებენ უჩივლონ ავსტრიის რესპუბლიკას ოფიციალური აქტების/კანონების გამოშვებით მათთვის მიყენებული ზარალისათვის.

თუ კერძო პირი წამოაყენებს სარჩელს ავსტრიის რესპუბლიკის წინააღმდეგ ზარალის ანაზღაურების თაობაზე, იგი ვალდებულია დაიცვას კანონით გათვალისწინებული წინასწარი პროცედურა, რომელიც მხოლოდ Finanzprokurator-ის კომპეტენციაში შედის. კერძო პირი ვალდებულია შეატყობინოს Finanzprokurator-ს ყველა ფაქტი და დააფიქსიროს მოთხოვნილი ანაზღაურების ფინანსური გამოხატულება. არ არის აუცილებელი, რომ კერძო პირმა ზუსტად იცოდეს დამნაშავე მხარის ვინაობა.

შემდეგ Finanzprokurator თავად პოულობს ბრალეულ კომპეტენტურ ორგანოს, შეისწავლის და აფასებს ფაქტებს და კონსულტაციას უწევს ამ ორგანოს იმის თაობაზე, უნდა დაეთანხმოს იგი სარჩელს თუ არა. ასეთ შემთხვევაში Finanzprokurator მოქმედებს, როგორც უფლებამოსილი ექსპერტი. როგორც წესი, კომპეტენტური ორგანო გულისყურით ეკიდება მის რეკომენდაციას.


რამდენადაც ეს პროცედურა უზრუნველყოფს სწრაფ და მარტივ დახმარებას თანასწორუფლებიანობის დაცვით, ის მნიშვნელოვნად აადვილებს და აუმჯობესებს მოსარჩელე ინდივიდუალური პირების მომსახურებას.

მეორეს მხრივ ეს პროცედურა უნარჩუნებს ფართო საზოგადოებრიობას და სახელმწიფო ადმინისტრაციას იმ მნიშვნელოვან სახსრებს, რომლებიც უნდა დახარჯულიყო უაზრო უშედეგო სასამართლო პროცესებში.

ყველა ამ უფლება-მოვალეობის შესრულებით Finanzprokurator მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ოფიციალური კანონების კოორდინაციასა და მთლიანად კანონმდებლობის გაუმჯობესებას.

F. Finanzprokurator-ის ადმინისტრაციული მოწყობა და მასში შემავალი სამართლის სფეროები

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა გამოსახავს Finanzprokuratorის ადმინისტრაციულ მოწყობას:



ყველაზე ზევით არის პრეზიდენტი, რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. პრეზიდენტი პასუხისმგებელია საორგანიზაციო საკითხებზე, ადამიანური რესურსების მართვაზე, ადვოკატების საქმიანობის კოორდინაციაზე და Finanzprokurator-ის წარმოდგენაზე. განსაკუთრებულ ან დელიკატურ შემთხვევებში იურიდიულ კონსულტაციას ან სასამართლოში წარმოდგენას აგრეთვე ანხორციელებს პრეზიდენტი (მაგალითად, ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებული კონტრაქტების შედგენა).

ბუღალტერია და მომსახურებისა და უზრუნველყოფის განყოფილება ეხმარება იურისტებს საკუთარი მოვალეობების შესრულებაში.

როგორც წესი, იურიდიულ კონსულტაციის გაწევა და სასამართლოში წარმოდგენა ევალებათ რვა იურიდიულ დეპარტამენტს, რომლებიც კანონის სხვადასხვა სფეროებს განაგებენ. რამდენადაც Finanzprokuratur ვაღიარებთ, გაუწიოს ავსტრიის რესპუბლიკას იურიდიული კონსულტაცია მის კომპეტენციაში და საქმიანობის სფეროში შემავალ ყველანაირ საკითხზე (მაგალითად, ქონების პირველადი მეპატრონისათვის დაბრუნების კანონი, რომელიც ყველა სახელმწიფოს არ გააჩნია), აქ მუშაობა მოითხოვს ფართო იურიდიულ განათლებას სახელმწიფო ინტერესებთან დაკავშირებული კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროში.

სხვადასხვა დეპარტამენტების კომპეტენციაში შედის შემდეგი საკითხები⁹:

- 1. დასაქმებისა და სოციალური საკითხების დეპარტამენტი=>**
შრომითი (შრომითი დავები) სამართალი, სოციალური უზრუნველყოფის კანონი, შრომითი კანონმდებლობა, კანონი საჯარო სამსახურის შესახებ
- 2. სახელმწიფოს მოვალეობები და იურისდიქცია=>**
სამხედრო სამართალი, ძეგლთა დაცვის კანონი, კანონი უნივერსიტეტების შესახებ, ევროპული კანონმდებლობა, საჯარო სამართალი, კანონი პოლიციის შესახებ, სისხლის სამართალი, საკონსტიტუციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, კანონი თავშესაფარის შესახებ, კანონი საკვების შესახებ
- 3. ინოვაციები, სუბსიდიები და კონკურენცია=>**
ანტიმონოპოლური კანონმდებლობა, საპატენტო სამართალი, კანონი პრესის შესახებ, კანონი საავტორო უფლების შესახებ, კონკურენციის კანონი, კანონი ინტელექტუალური საკუთრების უფლების შესახებ, მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონი, მონაცემთა საიდუმლოების დაცვის კანონი, რესტიტუციის კანონი
- 4. უძრავი ქონება=>**
სამშენებლო კანონმდებლობა, მიწის კანონმდებლობა, ქირავნობის კანონი, დოკუმენტების რეგისტრაციის კანონი, კანონი ექსპროპრიაციის შესახებ, სერვიტუდები
- 5. ინფრასტრუქტურა და სახელმწიფო მომარაგება=>**
სატრანსპორტო კანონმდებლობა, საგზაო მოძრაობის კანონი (სატრანსპორტო ავარიების ჩათვლით), კანონი სახელმწიფო მომარაგების შესახებ, ენერგეტიკის კანონი, კავშირგაბმულობის კანონი
- 6. კომპანიებისა და ქონების საკითხები=>**
კორპორატიული სამართალი, საბანკო სამართალი, კანონი საბალანსო უწყისის შესახებ, კანონი საფონდო ბირჟების შესახებ, საგაჭრო კანონმდებლობა, საგადასახადო კანონმდებლობა, სადაზღვევო კანონმდებლობა, ასოციაციების საქმიანობასთან დაკავშირებული კანონი, კანონი საბაზრო კაპიტალის შესახებ, ბიუჯეტის კანონი
- 7. გაკოტრება და ვალის დადგომა=>**
კანონი გაკოტრების შესახებ, პირველადი მფლობელისათვის ქონების დაბრუნების კანონი, საბაჟო კანონმდებლობა, ფინანსური კანონმდებლობა, აღსრულებითი კანონმდებლობა, გაუქმების კანონი

⁹ კონტრაქტებს და სამოქალაქო პროცედურს, ისევე როგორც დელიქტებს ყველა დეპარტამენტი თავად ამზადებს

8. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა=>

კანონი გარემოს დაცვის შესახებ, კანონმდებლობა წყლის რესურსების შესახებ, კანონი ტყის დაცვის შესახებ, ცხოველური სამყაროს დაცვის კანონი

G. Finanzprokurator-ში მუშაობისათვის აუცილებელი მოთხოვნები და პროფესიული მომზადება

რადგანაც Finanzprokurator-ი არის ფედერალური სააგენტო, ახალი თანამშრომლის აყვანისათვის აუცილებელია, რომ მას გაუნთავისუბლდეს ვაკანსია მუდმივ სამუშაო ადგილზე. თითოეული ფედერალური სააგენტოსათვის მუდმივი სამუშაო ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია ავსტრიის მთავრობის მიერ გამოცემულ კადრების დაკომპლექტების გეგმაში.

Finanzprokurator-ში სტაჟიორ იურისტად მუშაობის დასაწყებად კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ წინასწარ პირობებს:

- უნივერსიტეტის დიპლომი ავსტრიულ სამართალში
- მინიმუმ ცხრა თვის სასამართლო პრაქტიკა
- სამართლის საკითხების ყოველმხრივი ცოდნა, რაც მოწმდება სამსახურში მისაღებ გასაუბრებაზე

სამსახურში მიღებისას უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც პროფესიული მოღვაწეობის გამოცდილება გააჩნია.

რამდენადაც Finanzprokurator-ის ყველა ადვოკატი არის სახელმწიფო მოხელე, რომლის დათხოვნაც უმიზეზოდ არ შეიძლება, ახალი თანამშრომლები მიიღებიან დროებითი კონტრაქტის საფუძველზე ერთწლიანი საგამოცდო ვადით. ამ ვადის წარმატებით გავლის შემთხვევაში მათთან ფორმდება მუდმივი კონტრაქტი, ან, წარუმატებლობის შემთხვევაში, ისინი სტოვებენ Finanzprokurator-ს.

Finanzprokurator-ში მომუშავე სტაჟიორი-იურისტები ვალდებული არიან ხუთი წლის განმავლობაში წარმატებით ჩააბარონ

- საადვოკატო გამოცდა და
- სახელმწიფო დაწესებულების თანამშრომლის გამოცდა,

რის გარეშეც ისინი ავტომატურად არიან დათხოვილი სამუშაოდან.

სწავლის პერიოდში ახალი თანამშრომლები უნარ-ჩვევებს ძირითადად იღებენ მათ გვერდით მომუშავე გამოცდილი იურისტებისაგან (ე.წ. “სწავლა სამუშაო ადგილზე”). ამგვარად ისინი იღებენ ყოველდღიურ გამოცდილებას, ეცნობიან მათ მიმართ არსებულ მოთხოვნებს და ეჩვევიან სამუშაოს.

Finanzprokurator-ში მომუშავე სტაჟიორი-იურისტები ვალდებული არიან ყოველთვიურად გაიარონ მოსამართლეთა მოსამზადებელ ორდლიანი კურსები, რომლებიც ტარდება ვენაში, სააპელაციო სასამართლოში.

გარდა ამისა, სტაჟიორი-იურისტები, გამოცდილ იურისტებთან ერთად ესწრებიან სხვადასხვა სემინარებს, მაგალითად იურიდიულ აკადემიაში. ამ სემინარებზე მათ დასწრებას მოთხოვნიანად Finanzprokurator აფინანსებს. Finanzprokurator თითოეულ

ადეოკატს უხდის წელიწადში დაახლოებით ოთხ სემინარზე დასწრების საფასურს.

შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ Finanzprokurator-ში იურისტად მუშაობის მსურველები უნდა აკმაყოფილებდნენ ძალიან მაღალ პროფესიულ კრიტერიუმებს.

ფართოდ გავრცელებული პროფესიული სწავლების წყალობით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ Finanzprokurator-ის თითოეული იურისტი აუცილებლად აბარებს ორ გამოცდას, სადაც მან უნდა გამოავლინოს სამართლის საკითხების ამომწურავი ცოდნა (ე.წ. “ორმაგი გამოცდა”), სამუშაოს შესრულების ხარისხი ძალიან მაღალია. ამასვე ადასტურებს მომხმარებელთა მაღალი შეფასებები და მოგებული დავების დიდი რაოდენობა.

Finanzprokurator ყოველწლიურად იგებს სამოქალაქო დავების ორ მესამედზე მეტს.

IV. ფედერალური იურიდიული სამსახურის ზოგადი დახასიათება

A. უპირატესობები

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ფედერალური იურიდიული სამსახურის ძირითადი უპირატესობებია:

- სახელმწიფოს ჰყავს იურისტები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან მართვის სახელმწიფო ორგანოების საკითხებში და ჰფლობენ სახელმწიფო ინტერესებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის “ნოუ-ჰაუ“-ს. კერძო ადეოკატებს ხშირად სჭირდებათ დამატებითი ლიტერატურის მოძიება კონკრეტული საკითხის გარშემო, რაც შრომატევადი სამუშაოა და ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული.
- არ არის საჭირო სასწრაფოდ შესაბამისი კერძო საადეოკატო ფირმის ძებნა, მასთან მოლაპარაკების გამართვა და ჩარჩო ხელშეკრულების პირობების განხილვა.
- ფედერალური იურიდიული სამსახურის კონსულტაციის მიღება შეიძლება მარტივად და ნებისმიერ დროს. ჩვეულებრივ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფედერალურ ადეოკატებს შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდება.
- სახელმწიფო იღებს მაღალი ხარისხის ძირფესვიან იურიდიულ მომსახურებას საადეოკატო ხარჯების გაღების გარეშე. (Finanzprokurator-ის იურიდიული კონსულტაცია და სასამართლოში წარმოდგენა ავსტრიის რესპუბლიკას წელიწადში საშუალოდ € 8 მილიონი ევრო უჯდება)
- რამდენადაც ფედერალური იურიდიული სამსახური არ არის მოგებაზე ორიენტირებული, არ არსებობს სასამართლო პროცესის უმიზეზოდ წამოწყების აუცილებლობა. სასამართლოსათვის მიმართვამდე საქმე კარგად აიწონ-დაიწონება. კერძო ადეოკატები განხილვის შედეგის მიუხედავად იღებენ გასამრჯელოს.
- ფედერალური იურიდიული სამსახური ასევე გამოდის საზოგადოებრივი ინტერესების დამცველად.

- ფედერალური იურიდიული სამსახური შეიძლება ჩაერთოს სახელმწიფო კანონმდებლობის შემუშავებაში
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ წაყენებული სარჩელის წარმოება შეიძლება დაევალოს ფედერალურ იურიდიულ სამსახურს.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ფედერალური იურიდიული სამსახური იღებს ფულს კონსულტაციის გაწევაში ან სასამართლოში წარმოადგენს არა ფედერაციას, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანოს, მის მიერ გამომუშავებული მთელი თანხა ეკუთვნის სახელმწიფოს. (2008 წელს Finanzprokurator-მა სახელმწიფოს მოუტანა € 2,1 მილიონი ევრო)

B. ნაკლოვანებები

ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ნაკლოვანებები:

- ფედერაციას უხდება თანამშრომელთა ხელფასებისა და სხვა მატერიალური ხარჯების გაწევა მთელი წლის განმავლობაში. (Finanzprokurator-ში ყოველწლიური ხარჯები თანამშრომელთა ხელფასების სახით შეადგენს 5.4 მილიონ ევროს, ხოლო მატერიალური ხარჯები 0.5 მილიონ ევროს).
- მუდმივი ხარჯები გაიღება იმის მიუხედავად, საჭიროა თუ არა იურიდიული კონსულტაცია ან სასამართლოში წარმოდგენა.
- შესაძლებელია ფედერალურ იურიდიულ სამსახურს არ გააჩნდეს საკმარისი ცოდნა გარკვეულ სფეროებში.
-

C. საკანონმდებლო ბაზა

ფედერალური იურიდიული სამსახურის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც გაწერილი იქნება, მაგალითად:

- ვის შეიძლება გაუწიოს კონსულტაცია ფედერალურმა იურიდიულმა სამსახურმა და რა პირობებით (სხვადასხვა კლიენტები);
- სრულად ფედერალური იურიდიული სამსახურის კომპეტენციის სფერო (იურიდიული კონსულტაციის გაწევა, სასამართლოში წარმოდგენა; კანონშემოქმედება, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი, არბიტრაჟი, და ა.შ.);
- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ნორმები და პრინციპები;
- მინდობილობებთან დაკავშირებული პირობები და სუბსტიტუციის შესაძლებლობა;
- ვალდებულებებთან დაკავშირებული პირობები;
- ინტერესების კონფლიქტთან დაკავშირებული პირობები;
- ადვოკატის გასამრჯელო (ოფიციალური მოვალეობის შესრულებისას წარმოშობილი ხარჯების, როგორცაა სამოგზაურო ხარჯები, სასამართლოს მოსაკრებელი და სხვ. ანაზღაურება);
- ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებული პირობები და
- სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული პირობები, როგორცაა სამსახურებრივი მოთხოვნილებები, საადვოკატო გამოცდები, პროფესიული სწავლება და ხელფასი, და აგრეთვე კონკურენციის შესახებ დებულება.